საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი №.190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

№ 55

სამშაბათი, ოქტომბრის 25

1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუსაზღვრელად დამწუხრებულნი მშობლები: პელაგია და დიმიტრი ბზიავები და ძენი მათნი დათიკო და საშა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ოქტომბრის 25-ს სამშაბათს, დღისით 12 საათზე გარდახდილი იქნება ორმოცი დღის ჯანსაღების წირვა და ნაშუადღევის ოთხ საათზე პანაშვიდი დიდების ეკლესიაში მათი ძვირფასის

მეგის

სულის მოსახსენებლად. 29

ღრმა დამწუხრებულნი დედა დარია დავითის ასული, და ნინო და ძმა გიორგი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ სახელმწიფო უნივერსიტეტის სექიმო ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტის ძვირფასი და დაუვიწყარი

ელანა (ლანა) დავითის ასული გოცირიძ ს

უდროოდ გარდაცვლებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე თავის საკუთარ ბინაზე ბელინსკის ქუჩა № 19 დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 37

ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სექიმო ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტები მწუხარებით აუწყებენ ამბანაგებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ოქტომბრის 22-ს გარდაიცვალა საყვარელი და ძვირფასი ამხანაგი

ელენე (ლენა) დავითის ასული გოცირიძე

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე. ბელინსკის ქუჩა № 19. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 39

უზიმო მწუხარებაში მყოფნი დედა ევგენია ძმა ლადიკო, დები: ალექსანდრა, ცუცია და შვილი მიშა (პატარა კვწა) წერილებით სთხოვენ ნათესავთ და გულ-შემატკივართ, რათა მობრძანდნენ დიდების ეკლესიაზე ხუთშაბათს, ოქტომბრის 26-ს სადაც გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვლებულის

გრიგოლ ლავრენტის ძის ფერეთლისა

სულის ოსახსენებლად. 36

ყარსის ხელშეკრულება

პირველ წერილში ჩვენ ზოგადათ შევეხეთ ამიერკავკასიის ერთა და ოსმალეთის შორის პოლიტიკური განწყობილების მთავარ მუხლებს და აღვნიშნეთ, რომ ასეთი ურთ ერთობის დამყარება სავსებით მისაღები და აუცილებელია საბჭოთა-რესპუბლიკებისათვის, თანამედროვე გართულებულს პირობებში, როცა ევროპის გამარჯვებული იმპერიალიზმი გაბასკეცებული ენერგიით, ცდილობს თავისი ექსპლოატაციის ობიექტად გადააქციოს ჩვენი ქვეყანები.

ახლა ჩვენ გვინდა შევეხოთ ხელშეკრულების ერთს მთავარ მხარეს, ტერიტორიის გადამიჯვნის საკითხს, რომელიც დიდ ინტერესს წარმოადგენს ამიერკავკასიის ერებისათვის. ხელშეკრულების ზოგადათ გადაშინჯვაც ნათელს ყოფს იმ აზრს, რომ ხელშეკრულების მთავარი მუხლები ამ კითხვაში საქართველოსა და სომხეთის ხალხის არა სასარგებლოდ არის გადაჭრილი და პირდაპირ საფრთხეში აგდებს მათ სასიცოცხლო ინტერესებს. ხელშეკრულების მიხედვით სომხეთის ისედაც შემცირებული და შეკვეთილი ტერიტორიის რკალი, უფრო მცირდება და იკვეცება. მაგრამ შევეხოთ ჩვენს მდგომარეობას ამ მხრივ და სავსებით ნათელი დარჩება ხელშეკრულება საერთოდ.

ტერიტორიის გამიჯვნის საკითხი ერთი უმთავრესი საკითხი იყო ქართველი ხალხისათვის, რომელიც უნდა გამოერკვია და სამართლიანად გადაეჭრა კონფერენციას. ოსმალეთსა და საქართველოს შორის სადავო კითხვის მთავარი ძარღვი ტერიტორიის გადამიჯვნის სფეროში იყო ჩამარხული და მისი მიზანშეწონილად და სამართლიანად გადაწყვეტა ლიკვიდაციას უყოფს ისტორიულად შექმნილ უსამართლობას.

როგორც ზეგითაც აღვნიშნეთ, კონფერენცია თავიდანვე დასდგა გაუგებრობის ნიადაგზე ამ საკითხში და საბელმძღვანელოდ მიიღო ის ხელშეკრულება (მოსკოვის), რომელიც საქართველოს დაუკითხავად იყო დადებული და რომელიც დიდ ნაწილს საქართველოს ტერიტორიისას სრულიად უსაფუძვლოდ უთმობს ოსმალეთს. ვინც ბოლოდ მაინც გადახედავს დღევანდელს ხელშეკრულებაში გაკეთებულ სადემარკაციო ხაზს ჩვენსა და ოსმალეთს შორის, მისთვის ნათელი გახდება, რომ დიდი ნაწილი საქართველოსი ართვინ-არტაანუჯ-არტაანის ოლქებისა და ბათომის ოლქის თითქმის ერთი მესამედის შემოხაზვით გადადის ოსმალეთის ხელში. ბათომის ოლქის საკითხი ხელშეკრულებაში მრავალ მხრივ იწვევს უკრადღებას ჯერ ერთი დიდი ნაწილი ამ ოლქისა, დაწყებული სოფ. სარფიდან შავ ზღვაზე გადის სოფ. ზემო მარადიდთან, გაუვლის ჩრდილოეთით სოფ. სამეურა, გაყვება ხედის-მთას, წყალთა გამყოფი ხაზით მთა შავშეთის ქედით—ზთა-კნი-დადი, შემდეგ იგი მიყვება წინანდელ არტაანის ჩრდილოეთის ადმინისტრატიულ საზღვარს და გამოდის სარი-ჩაის მთაზე და სხვა., ამ ხაზის მიმართულებით ოსმალეთი სრული ბატონი ხდება ბათომის ოლქის ნაწილის. მაგრამ მეორეს მხრით ბათომის ოლქის საკითხი სხვა მხრივაც ხდება საყურადღებო. ჩვენს პრესაში იყო აღნიშნული, თითქოს ბათომის საკითხი სავსებით იყოს გამორკვეული ხელშეკრულების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მართალი არ არის. ხელშეკრულების მე-6 მუხლი დიდ ბუნდოვანებას ბადებს და საკითხს კვლავ უტოვებს დასაძკრომ ხვრელებს. ჩვენ არ ვიცით რას უნდა მიეწეროს ასეთი მუხლის შეტანა ხელშეკრულებაში, რომელშიაც მრავალი არა სასურველი მომენტებია ჩვენდა არა სასარგებლოდ შეტანილი. მუხლი ამბობს: „ოსმალეთი სთანხმდება დაუთმოს საქართველოს სიუზერენიტეტი ბათომის ნავთსადგურზე და ქალაქზე“. და სხვა. ჯერ ერთი რას ნიშნავს სიტყვა დაუთმოს? გამოდის თითქოს თავის უფლებებს უთმობდეს ჩვენი მოკავშირე საქართველოს, რომელიც მისთვის არასოდეს არავის არ მიუნიჭებია. ბათომის ოლქი საქართველოს სრულს განკარგულებაშია, მისი ხელისუფლების ქვეშ იმყოფება და ვის აქვს უფლება მისი დათმობის შესახებ ილაპარაკოს? ეს ტერმინი „ადიარებს“ უფრო შეეფისება, ვინემ დათმობაზე ლაპარაკი. მაგრამ კითხვის მთავარი ღერძი იმაშია, რომ ოსმალეთი თანახმა არის დაუთმოს საქართველოს სიუზერენიტეტი და არა სუვერენიტეტი. სიუზერენიტეტი არ ადიარებს სავსებით, როგორც ეს ტერმინი გვიჩვენებს, სრულს საქართველოს საკუთრებათ ბათომის ოლქს და მხოლოდ ანიჭებს უმაღლეს ხელისუფლების დამოკიდებულებას როგორც მფარველი სახელმწიფოსი თავისი მფარველობის ქვეშ მყოფ ხალხისადმი. ჩვენ ვხდებით სიუზერენი ბათომის ოლქისადმი ე. ი. საქართველოს რესპუბლიკისა და მისი მთავრობისაგან არის დამოკიდებული ბათომის ოლქი. ეს ფორმა დამოკიდებულებისა ლებულობს ისეთს შინაარს, როგორც არის ორ სახელმწიფოთა შორის, სადაც ერთის ბატონობის ქვეშ იმყოფება მეორე, უფრო სუსტი და უძლური. მაგალითად შეგვიძლია ის დამოკიდებულება ავიღოთ, რომელიც არსებობდა თვით ოსმალეთსა და ბოლგარეთს შორის ახლო წარსულში. ჩვენი დავა ოსმალეთთან იმაში გამოიხატებოდა, რომ ბათომის ოლქი და მთელი სამხრეთ-საქართველო ქართველი ერის გენეოლოგიელ და მისი სხეულის ორგანიულ ნაწილად მიგვაჩნდა მაშინ, როდესაც ოსმალეთი პირდაპირ ამის საწინააღმდეგო პრეტენზიებით გამოდიოდა. და ამის მთავარი ცენტრი აქ არის ჩამარხული და კონფერენციას ამაზე უნდა მიეცა გადაჭრილი პასუხი. ხაცვლად ამისა ოსმალეთის წარმომადგენლებმა საგრძნობი ნაწილი ბათომის ოლქის სავსებით მიისაკუთრეს და დანარჩენზე კი „დაგვითმეს“ (?) სიუზერენიტეტი. ხელშეკრულებით ბათომის ოლქი არ არის აღიარებული სრული ჩვენი საკუთრებათ და მოწინააღმდეგე მხარე კვლავ იტოვებს დასაძვრომ ხვრელებს შესაფერ პირობებისათვის. ამგვარად, როგორც ვხედავთ ბათომის საკითხი დიდი ბუნდოვანების ქვეშ რჩება და ნურვის გონია ეს კითხვა ერთხელ და სამუდამოთ გადასწყვეტა ოსმალეთმა საქართველოს სასარგებლოდ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ოსმალეთს ხელშეკრულებაში შეაქვს ისეთი მუხლები, რომალიც ჩვენ შინ ურ საქმეებში ჩარევას უდრის. იგი მოითხოვს ბათომის ოლქის მცხოვრებთ ფართო ავტონომია მიენიჭოს და მაშის საკითხი გადაიჭრეს ადგილობრივ პირობების მიხედვით. გარდა ამისა, ბათომის ოლქზე საქართველოს სიუზერენიტეტის დათმობით, მან დაიტოვა თავისუფალი ტრანზიტის საშუალება.

ამ ხელშეკრულებაში ნათლად გამოსჩევის ოსმალეთის იმპერიალისტური ძიზნები. თანამედროვე ომში იგი ყველაზე მეტად დამარცხდა, მაგრამ თავისი გაჩენილი დიპლომატიის წყალობით, სცდილობს ყველაზე მეტი მოგებული დარჩეს. თავის ჩრდილო-აღმოსავლეთის მეზობლების ხარჯზე ის სცდილობს აინაზღაუროს ის, რაც შეიძლება დაეკარგოს დასავლეთ-სამხრეთის საზღვრები. ამ იმპერიალიზმის ობიექტი შეკმნა ქართველი ხალხი და სომხეთის წამებული ერი,

გაზ. „კომუნისტის“ განცხადებით „საბჭოთა საქართველომ შესძლო ქ. ბათომის და ოლქის დიდი ნაწილის შენარჩუნება ბრძოლით, ხოლო ვერ შეძლო დიპლომატიურის მოლაპარაკებით ართვინ-არტაანუჯ-არტაანის ბედის გადაწყვეტა ისე, როგორც ეს სასურველია მუშურ-გლეხურ მთავრობისათვის“ (იხ. „კომუნისტი“ № 191).

ჩვენ ვფიქრობთ, მიუხედავად იმისა რომ ხელშეკრულებაში არის ხელსაყრელი მუხლები, ჩვენი ტერიტორიის ასეთ პირობებში ჩაყენებას „ღრმა კმაყოფილებათ“ ვერ ეტყვის ქართველი ხალხი. უკმაყოფილების ნიმუში გაზ. „კომუნისტის“ ზემოდ მოყვანილ ჩვენ მიერ ხაზგასმულ სიტყვებიდანაც გამოსჩევის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხელშეკრულება მოითხოვს ხელმეორე გადასინჯვასა და სათანადოთ შეცვლას ჩვენ არ გვინდა, რომ მუშურ-გლეხური მთავრობა, რომელმაც უნდა გამოხატოს ჩვენი მშრომელი დემოკრატიის სურვილები და მიზნები, საქართველოს დანაწილების როლში გამოვიდეს. ასეთი ხელშეკრულების დადებას, რომლის ძალითაც დიდი ნაწილი საქართველოს ტერიტორიისა, ჩვენი კულტურისა და წინმსვლელობის აკვანი, სხვისი საკუთრებათ ხდება, არ მოითხოვს ჩვენი დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა და არც რევოლიუციის ინტერესები.

ჩვენმა დიპლომატიამ ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაუწიოს.

ხიმ. ხუნდაძე.

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ ყრილობას

ა. წ. ოქტომბრის 30 ს.

განსახილველი საკითხები:

1. დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედება—მომხსენებელი ამხ. თეოდო ღლონტი.
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. პარტიის უახლოესი პრაქტიკული მიზნები—მომხ. ამხ. პარმენ ჭინიშვილი.
4. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო—მომხს. ამხ. თ. ღლონტი.
5. საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა—ფაკულტეტიური მოხსენება—პროფ. შ. ნუნუბერძე.
6. ინტერნაციონალი—მომხსენებელი ამხ. სიმონ ხუნდაძე.
7. საბჭოთა სისტემა—მომხსენებელი ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.
8. პროფკავშირები და კოოპერაცია—მომხს. ამხ. ეფრემ ჩახუნაშვილი.
9. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი—მომხს. ამხ. სერგო ამაღლობელი.
10. წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლა.
11. მთავარი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით დელეგატი გამოიგზავნება მხოლოდ პარტიის წესდების მე 23 მუხლის მიხედვით. ქალთა, ახალგაზრდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ სათათბირო ხმის უფლება.

ყრილობაზე დელეგატები იგზავნება 100 წევრზე ერთი. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

ყრილობა გაიხსნება პარტიის ცენტრალურ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 1) სადამოს სრულ 7 საათზე.

რევოლიუციის მტრები

დღეს ბევრი ლაპარაკია რევოლიუციის მტრებზედ. მთელი ლექსიკონია შექმნილი იმათთვის, ვინც დღეს რეაქციის იმედით ცხოვრობს, მითით „ნუგეშობს“. მართლაც ყოველი ჯურის ადამიანი დაწყებული აშკარა და ურცხვი კონტრ-რევოლიუციონერებით და გათავებული მორცხვი „სოციალისტებით“ საშინელ თავბრუ დამსხმელ ატმოსფერასა ჰქმნიან და რევოლიუციის საქმეს ასამარებენ. ცხადია ეს ბანაკი უდიდესი მტერია რევოლიუციის, მაგრამ იგი მარტო არ არის რევოლიუციის მოღალატეთა, მტერთა ლეგიონში. ნათქვამია, „ციხე შიგნიდან გატყდებაო“ და სწორედ ამიტომ უდიდესი მტერი რევოლიუციისა, ყველაზედ უფრო მნიშვნელოვანი და მეტი ზიანის მომტანი არის რევოლიუციის წითელ რაზმებში მოკალათებული არა წითელი ხალხი.

განათლება, კულტურა, რევოლიუციის ყავარჯენია. სადაც კულტურა არ არის, იქ არც შეიძლება სოციალიზმზე ლაპარაკი. ამიტომ არის კულტურულ საქმეებს, რომ დიდი ყურადღებით ეპყრობიან. განათლება, განათლება და კიდევ განათლება. იგია რევოლიუციის, მხსნელი, საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ ურთიერთობის შემომტანი. ლენინი, თანამედროვე რევოლიუციის ბელადი, კარგად ხედავს ამ დარგის მნიშვნელობას, იგი განსაკუთრებული ყურადღებით ეხება მას და ამბობს „არის სამი მტერი განათლებისა. პირველი მტერია კომუნისტური ყოყოჩობა, მეორე მტერი—წერაკითხვის უცოდინარობა, მესამე მტერი ქრთამი.

კომუნისტური ყოყოჩობა გამოხატება მასში, რომ ადამიანი მხოლოდ მისთვის, რომ ის ირიცხება კომუნისტურ პარტიაში, საიდანაც ის ჯერ კიდევ არ გამოხვეტილა, თავის თავი პოლიტიკურ განათლების საკითხში სრულ ავტორიტეტად წარმოუდგენია“.

ეს სიტყვები კომუნისტური პარტიის საუკეთესო ხელმძღვანელისა, ანარეკლია ცხოვრების სინამდვილიდან. თვით ეს ფაქტი, რომ ლენინი ესოდენი სიცხადით და გარკვევით აღნიშნავს შექმნილ მდგომარეობის სურათს, მოწმობს კომუნისტური პარტიის სიფხიზლესა და მკაცრ კონტროლს თავის წევრების მიმართ. ასეთი არ არის ყოველი პარტიის მოქმედება, ჩვენი მენშევიკები მთელ თავის მდიდარ ლექსიკონში და გრძელ სიტყვებში ერთ ფრაზას არ გაიმეტებდენ თვით-კრიტიკისათვის, პარტიის შეცდომების აღნიშვნისათვის. მისაღები იყო თუ არა მენშევიკი მინისტრის მოქმედება, შეცდომა და დანაშაული იყო თუ არა მისი ნაბიჯები მენშევიკების საპარლამენტო ფრაქცია დაქირავებული „აბლაკატივით“ ოფლში იწურებოდა და იცავდა თავისი მინისტრის „პრომახებს“. რა თქმა უნდა სახელმწიფოებრივი მშენებლობისათვის ეს მეტად საზიანო, მეტად ცუდი იყო.

კარგად უნდა იცოდეს ყველამ რომ, ვისაც თავისი მოღვაწეობის დაფასება და უარყოფითი ნაბიჯების გამოსწორება არ შეუძლია, იგი ამ თვითვე სასიკვდილოდ არის განწირული.

ლენინის სიტყვა ჩვენთვის კერძოდ დიდათ საინტერესოა. თუ რუსეთში არის „კომუნისტური ყოყოჩობა“ რომელსაც აწარმოებს პარტიის ის ნაწილი, რომელიც ჯერ „არ გამოხვეტილა“ პარტიიდან, ჩვენში კიდევ უფრო ნოყიერი ნიადაგია ამ მხრივ შექმნილი.

მთელი ჩვენი ტრაგედია იმაში კი არ მდგომარეობს, რომ საქართველოს განაგებს კომუნისტური პარტია, არამედ იმაში, რომ მასში ნაწილობრივად. მოკალათებულია „კომუნისტურად მოყოყოჩე“ ხალხი, რომელსაც დიდ პრეტენტიები აქვს სახელმწიფოებრივი მშენებლობისა, კომუნისტური პოლიტიკის წარმოებისა და სხვა.

ლენინის სიტყვა, საქ: კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებმა, კრიტერიუმად უნდა მიიღონ მათი პარტიული ორგანიზაციის წევრების მიმართ.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვირწმუნოთ, რომ საქართველოში ასი მენშევიკი იმდენად ვერ დასცემს არსებულ ხელისუფლების პრესტიჟს, რამდენიც მას დასცემს ერთი „ყოყოჩი“ კომუნისტი, რომელიც პარტიიდან ჯერ კიდევ „არ გამოხვეტილა“.

ჩვენმა ხელისუფლებამ კარგად უნდა იცოდეს, რომ ქართველი ხალხი წითელი დროშის იდეას მეოთხედ საუკუნის განმავლობაში ემსახურებოდა და თუ დღეს იგი დაინახავს ამ დროშის იდეათა რეალიზაციას, მუშური სახელმწიფოს შენებას, ერის თავისუფლების განმტკიცებას და რაც ჩვენი მუშათვის წმიდათა წმიდაა—ნაციონალური ენის ბატონობას საქართველოში. იგი განახლებული ენერგიაზმ თ ჩაებმება რევოლიუციის ფერხულში და გასწევს ერისა და სოციალიზმისათვის გამართულ პოზიციებისაკენ.

არა ფეტიშიზმი, არამედ კრიტიკიზმი, არა „ყოყოჩობა“ არამედ საქმის გულწრფელი სამსახური, არა მარტო სხვისი დევნა, არამედ საკუთარი წრის გაწმენდაც. ეს უნდა იყოს ყოველი გაბატონებული პარტიის მიზანი, თუ მას სურს არა მარტო ბატონობა, არამედ მართველობა.

ხერ. ამაღლობელი.

სეზონის გახსნა

ქართული დრამის სეზონი გაიხსნა მეტად რთულ პირობებში უხდება წელს ჩვენ დრამას მოქმედება. ყოველი მხრივ არა ხელსაყრელი პირობებია შექმნილი თეატრალი ცხოვრებისათვის. ქართული თეატრი დაჩეულია დიდი გასაჭირის ატანას, ყოველ ფრონტზედ ბრძოლას და ამავე დროს თავისი საქმის კეთებას. ჩვენი თეატრის ტრადიცია დიდ იმედს გვაძლევს ამ მხრივ.

ყველა კარგათ ვხედავთ, რომ ჩვენი ქვეყნის არა მარტო პოლიტიკურ-ეკონომიური სახეობა შეიცვალა, არამედ ცვლილება ხელოვნების სფეროშიც გამოიშკარავდა. მაგრამ ყოველი ცვლილება წინსვლის ნიშანი არაა. ქართული ხელოვნების ნაცვლად დღეს ჩვენს დე-

და ქალაქში უცხო ხელოვნების სული ტრიალებს. ეროვნული ძვირფასი დოვლათი, არა ეროვნულ იაფ ფასიანი საგნების სწორადაც ვერ გადის, ეს უდიდესი ხიფათია ჩვენი ხელოვნების, ჩვენი კულტურის.

რომელიმე პოლიტიკური ფორმა შეიძლება 24 საათში შეიცვალოს და ახალი კონიუქტურის წინაშე დადგეს ერი, მაგრამ მისი კულტურული სიმაღლე, მისი კულტურული ელფერი არც ერთი წლითა და ორით არის შექმნილი და იგი ვერც ერთი და ორი წლით შეიცვლება. კულტურული ცხოვრება რეზერვუარია ერის ყოველივე მოვლენისა, მისი ძალების განსახიერებისა. იგი ყოველ დარგში და ყოველ სფეროში იჩენს თავს. ამიტომაც არის, რომ ყოველი სახელმწიფო ეროვნული კულტურის აყვავებისაკენ ისწრაფვის.

ქართული თეატრი იმ თავითვე ერთად ერთი ნათესაყუდელი იყო ჩვენს ცხოვრებაში, სადაც თავს შეაფარებდა განწამები ქართული კაცის სული და მშობლიურ ენაზედ განიცდიდა ხელოვნების ნაყოფს უადრეს ნეტარებას.

თქმა არ უნდა ბევრი რამ აკლდა და დღესაც ბევრი რამ აკლია ქართულ თეატრს. მაგრამ იგი მაინც მტკიცედ იდგა თავის სადარაჯოზედ, ღირსეულად ასრულებდა თავის მოვალეობას და შესაძლებლობის მაქსიმუმს იძლეოდა.

ჩვენთვის დღეს ქართული თეატრი არა მარტო ხელოვნების ყავარჯენია, არა მარტო ესთეტიურ ემოციათა იმპულსია, არამედ იგი უაღრესად „ეროვნული თავდაცვის“ მნიშვნელობის დაწესებულებაა. რა თქმა უნდა ამაში ჩვენ მხოლოდ ერთს ვგულისხმობთ, სახელდობრ, იმ ძალების მიმართ სასტიკი კონკურენციის გაწევას, რომელნიც „ნებით ისტორიისა“ ქართულ ხელოვნების გასაქანს ზღუდავს და უცხო ხელოვნებას გზას უკაფავს.

დღეს ბევრი არა ქართველი „ხელოვანი“ მოქმედებს ჩვენი ცხოვრების სარბიელზე. ჩვენ ამის საწინააღმდეგო არა გვაქვს თუ კი იგი ხარისხობრივად ჩვენს საკუთარ ძალებს გადააჭარბებს. ასეთ შემთხვევაში ჩვენ არა თუ უნდა შევზღუდოთ მათი მოქმედების არეა არამედ პირიქით უნდა მოვიწვიოთ ისინი მისგან უნდა ვისწავლოთ, უნდა პატივი ვცეთ მათ. ასეთ მაგალითებს ადგილი ჰქონდა ჩვენს ახლო წარსულშიაც. მაგრამ უცხო „ხელოსანმა“ ვერ უნდა გაბედოს ჩვენი ხელოვნის შეჯიბრება მისი განდევნა სამოღვაწეო ასპარეზიდან. დღეს საამწუხაროდ. ასეთი ტიპის ხალხი ბლომად მოიპოვება, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო არა პოლიტიკურად, არამედ ისევ და ისევ ხელოვნების სფეროში. ქართველმა მაყურებლებმა გარკვეულად უნდა გამოაჩინოს თავის ფიზიონომია. იგი უნდა პირველობდეს ჩვენში შემოქმედების მხრივ, მან თავისი მუყაითობითა და უნარით უნდა გაიწმინდოს ის არე, რომელზედაც ბევრი არა მკითხე ცდილობს მოკალათებას.

ჩვენი თეატრი არ უნდა შეუშინდეს არავითარ დაბრკოლებას ისე, როგორც იგი ყოველთვის გაბედულად მიგებიჯებდა.

ამ წლის სეზონში დაგროვილია ქართული სცენის საუკეთესო ძალები და ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ისინი მთელი თავისი პასუხისმგებლობით შეუდგებიან იმ დიდი საქმის სამსახურს, რასაც ეროვნული კულტურა ეწოდება.

ქართველი ერის თვალი თქვენსკენ იცქირება, თქვენი შემოქმედება ქართველი ხალხის კულტურულ აღორძინებას უნდა შესწიროთ.

ხედი.

ბრესის მაგიერი

მილიუკოვის გაზ. „Последния новости“-ში მოთავსებულია ვ-